



პროექტისთვის **PET** ბანათლება მთხუნარელოზისთვის
Promoting Education for Tolerance

დაზინანსებული ევროკავშირის მიერ

საქართველოს ეთნიკურ (ლინგვისტური)
უმცირესობების წარმომადგენლებს შორის
დამოკიდებულებათა კვლევა

ანგარიში

შესრულებულია **BCG**-ს მიერ

BCG

თებერვალი
2007

სარჩევნი:

1. ტექნიკური ინფორმაცია	3
2. ძირითადი ტენდენციები	4
3. ანბარიშის ძირითადი ნაწილი.....	6
3.1 საკომუნიკაციო ენა	6
3.2 ქართული ენის ცოდნა, სავსოგლო	7
3.3 განათლების მიღების პერსექტივები	11
3.4 პრობლემები გამოკითხულ რეპონენტში.....	12
3.5 ინფორმაციის წყაროები	13
3.6 უმცირესობების უფლებები.....	16
3.7 უმცირესობების უფლებების დარღვევის შემთხვევები.....	18

1. ტექნიკური ინფორმაცია

- კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის პირისპირ ინტერვიუს მეთოდით საშუალო სკოლებში;
- გამოიკითხნენ 12-17 წლის ასაკის მოსწავლეები;
- კვლევა ჩატარდა თბილისში, ასევე მარნეულის, გარდაბნის, ახალციხის და ახალქალაქის რაიონებში;
- თბილისში გამოიკითხა 100 რესპონდენტი, ხოლო დასახელებულ რაიონებში - 50 მოსწავლე თითოში;
- კვლევა ფონდ ALPE-ს დაკვეთით განახორციელა სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების კომპანია BCG Research-მა;
- კვლევა ჩატარდა 2007 წლის თებერვალში.

2. ძირითადი ტენდენციები

- ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითად საკომუნიკაციო ენას (სკოლაში, ოჯახში, მეზობლებთან და მეგობრებთან ურთიერთობისას) აზერბაიჯანული და სომხური წარმოადგენს. რაც შეეხება ქართულს, მას კომუნიკაციისათვის მეორე ენად ქვემო ქართლში უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში.
- გამოკითხულების უმრავლესობა თვლის, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში საქმის წარმოება ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, თუმცა არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ორივე რეგიონში გამოკითხულების გარკვეული რაოდენობა (21%-დან 26%-მდე) სასურველად თვლის, რომ საქმის წარმოება ქართულთან ერთად რუსულადაც ხდებოდეს;
- არაქართველი რესპონდენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა – 40% ქართულ ენას არ ფლობს. ძირითად მიზეზად ის სახელდება, რომ მათ არ ჰქონდათ საშუალება ესწავლათ ქართული, თუმცა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის გარემოებაც, რომ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ქართული ენა ნაკლებად სჭირდებათ;
- არაქართველი რესპონდენტები ქართული ენის არცოდნის გამო მომავალში პრობლემებს მოელოებიან. ძირითადად, ფიქრობენ, რომ პრობლემური იქნება დასაქმება ქართულ ორგანიზაციებში. ქვემო ქართლში ასევე ბევრი მიუთითებს სირთულეებზე უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისას (არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ორივე რეგიონში მაღალია მათი რიცხვი, ვინც სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას აპირებს);
- ქვემო ქართლში გამოკითხულები მეტად არიან მოტივირებულები ისწავლონ ქართული ენა. ამისათვის მზად არიან სხვადასხვა ხერხს მიმართონ: დაიჭირავონ მასწავლებელი, იარონ კურსებზე და სხვა. სამცხე-ჯავახეთში კი ფიქრობენ, რომ ქართულის სწავლისთვის საუკეთესო გზაა მეტი ყურადღება ქართულის გაკვეთილებზე სკოლაში;
- ქვემო ქართლში გამოკითხულ მოსწავლეებში საქართველო მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული, როგორც სამშობლო. ამ კუთხით აზერბაიჯანს მოიხსენიებს მათი უმნიშვნელო რაოდენობა. განსხვავებული ვითარებაა სამცხე-ჯავახეთში, სადაც ყოველ მესამე გამოკითხულს სამშობლოდ სომხეთი მიაჩნია. ამის მიუხედავად, ორივე დასახლებულ რეგიონში საკუთარ და ოჯახის მომავალს საქართველოს მკაფიოდ უკავშირებს გამოკითხულთა დაახლოებით, თანაბარი რაოდენობა - ნახევარზე ოდნავ მეტი;
- ქვემო ქართლში ინფორმაციის მიღების ძირითადი ენა აზერბაიჯანულია, სამცხე-ჯავახეთში კი დაახლოებით, თანაბრად იღებენ ინფორმაციას სომხურ და რუსულ ენებზე. რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებულ გადაცემებს აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, მას თითქმის არ უყურებენ ქვემო ქართლში. ეს გადაცემები უფრო

პოპულარულია სამცხე-ჯავახეთში, სადაც გამოკითხულების 71% მათ ან სისტემატურად ან პერიოდულად უყურებს.

- კვლევის შედეგების თანახმად, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მოსწავლეები აქტიურად ეცნობიან პრესას. ქვემო ქართლში განსაკუთრებით „კითხვადია“ „თუმორჯუ“, სამცხე-ჯავახეთში კი - „ვრასტანი“.
- რესპონდენტების აზრით, საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებები, ძირითადად, დაცულია, მათი უფლებების დარღვევას უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვს და ნაკლებად გამოხატავს ტენდენციას. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევის ყველაზე ტიპურ გამოვლინებად მათი სიტყვიერი შეურაცხყოფა სახელდება.

3. ანგარიშის ძირითადი ნაწილი


ჩატარებულ კვლევაში ცალ-ცალკე გამოვეყავით საერთო მონაცემი და მონაცემები, მიღებული ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. საერთო მონაცემებში აღვიღად შეიძლება გარკვეული ზოგადი კანონზომიერებების დაჭერა ანუ სურათის აღდგენა, თუ დაახლოებით, რა ადგილი უჭირავს პასუხების საერთო განაწილებაში დამოუკიდებლად თბილისში, ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში მიღებულ მონაცემებს. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ანგარიშში, ძირითადად, წარმოგვედგინა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მიღებული მონაცემები და მოგვეხდინა მათი შედარება.

3.1 საკომუნიკაციო ენა

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი სასაუბრო ენა ოჯახებში ქვემო ქართლში აზერბაიჯანული, სამცხე-ჯავახეთში კი - სომხურია. აღსანიშნავია, რომ მეორე სასაუბრო ენად ქვემო ქართლში გამოკითხულების 32%-მა ქართული დაასახელა. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, ამ რეგიონში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ოჯახებში ძირითადად, მხოლოდ სომხურად საუბრობენ.

მეზობლებთან ურთიერთობაშიც ტენდენციები ორივე რეგიონში მსგავსია, თუმცა ქვემო ქართლში იზრდება რუსული ენის მნიშვნელობა – მას მეზობლებთან ურთიერთობაში მეორე ენად ასახელებს გამოკითხულების 24%. სამცხე-ჯავახეთში მეზობლებთან ურთიერთობაში უფრო აქტიურად იყენებენ ქართულსაც - მეორე ენად მას რესპონდენტების 17% მიუთითებს.

რა ენაზე (ენებზე) საუბრობთ




კვლევამ მსგავსი სურათი უჩვენა მაშინაც, როდესაც რესპონდენტებს ჰკითხეს, რა ენაზე ესაუბრებიან ისინი მეგობრებს. ქვემო ქართლში გამოკითხული მოსწავლეები მეგობრებთან ურთიერთობისას უფრო ხშირად იყენებენ ქართულს, ვიდრე რესპონდენტები სამცხე-ჯავახეთიდან. კვლევამ დაადასტურა, რომ ზოგადად, ქვემო ქართლში გამოკითხულ მოსწავლეებში ქართული ენა უფრო მეტად გამოიყენება საკომუნიკაციოდ, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში.


როგორც მოსალოდნელი იყო, ქვემო ქართლში გამოკითხული მოსწავლეები სკოლაში, პირველ რიგში, აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობენ, მეორე რიგში კი, მათი 46% ქართულადაც საუბრობს. სამცხე-ჯავახეთში მეორე ენად ქართულსა და რუსულს სკოლაში სასაუბროდ რესპონდენტების უმნიშვნელო რაოდენობა იყენებს.

თქვენი აზრით, ძირითადად, რა ენაზე უნდა საუბრობდნენ ყოველდღიურ ყოფაში საქართველოს სხვადასხვა ეროვნების

ქვემო



სამცხე-



რამდენადმე განსხვავებული შედეგი მოგვცა შეკითხვამ, თუ რა ენაზე უნდა საუბრობდნენ ყოველდღიურ ურთიერთობაში ერთმანეთთან საქართველოს სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეები. აღმოჩნდა, რომ ორივე გამოკითხულ რეგიონში რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი – 41-42% ფიქრობს, რომ პირველ რიგში, ეს ქართული ენა უნდა იყოს. აზერბაიჯანული და სომხური ენები პირველ ენად დაასახელა ქვემო ქართლში გამოკითხულების 16%-მა და სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულების 22%-მა. იმის მიუხედავად, რომ პასუხებში შეთავაზებული იყო ვარიანტი “მათთვის მისაღებ ნებისმიერ ენაზე,” ამ ვარიანტზე სამცხე-ჯავახეთში რესპონდენტების მხოლოდ 14%-მა პროცენტმა მიუთითა. ეს პასუხი უფრო „პოპულარული“ იყო ქვემო ქართლში – ის მისაღები გამოკითხულების 41%-სთვის აღმოჩნდა.

გამოკითხულები, ძირითადად, ეთანხმებიან აზრს, რომ სახელმწიფო ორგანოებში საქმის წარმოება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა მომდინარეობდეს. მთლიანად გამოკითხულებში ამ აზრის არის უმრავლესობა – 53.7%. ტენდენცია დაახლოებით, იგივეა ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში, თუმცა ორივე რეგიონში მნიშვნელოვანია იმ ადამიანების ხვედრითი წილიც რომლებიც საქმის წარმოებას ორ – ქართულ და რუსულ ენებზე უჭერენ მხარს.

3.2 ქართული ენის ცოდნა, სამშობლო

კვლევაში გამოავლინა, რომ გამოკითხულების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ ენას არ ფლობს. ამ ადამიანების რიცხვი, დაახლოებით, მსგავსია ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში – პირველ რეგიონში ქართული არ იცის რესპონდენტების 41%-მა, ხოლო მეორეში – 39%-მა. ქვემო ქართლში ამ რესპონდენტების უმრავლესობას სრულიად კონკრეტული

მიზეზი აქვს ამის ასახსნელად: 39-დან 32 გამოკითხულის თქმით, მათ არ ჰქონდათ საშუალება, რომ ქართული ესწავლათ. სამცხე-ჯავახეთში მიზეზები უფრო მრავალფეროვანია: „არ მჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში“, „არ მაქვს ურთიერთობა ქართველებთან“ და ა.შ., თუმცა პასუხის ვარიანტი: „არ მქონდა საშუალება რომ მესწავლა“, მეტ-ნაკლებად სამცხე-ჯავახეთშიც აქტუალურია.

რესპონდენტებისთვის ქართული ენის არცოდნა პრობლემატურია, თუმცა, ეს უფრო ქვემო ქართლს და არა სამცხე-ჯავახეთს ეხება. ქვემო ქართლში 41 გამოკითხულიდან 20-ს ქართულის არცოდნა პრობლემებს უქმნის ყოველდღიურ ცხოვრებაში მაშინ, როდესაც 39 რესპონდენტიდან 17-ს სამცხე-ჯავახეთში ქართულის არცოდნა არანაირ პრობლემას არ უქმნის. ორივე რეგიონში შედარებით პრობლემატურია ქართულის არცოდნა მაშინ, როდესაც ისინი საკუთარი დასახლების გარეთ გადიან.

გიქმნით თუ არა ქართული ენის არცოდნა რაიმე პრობლემას და თუ კი, რა


გიქმნით თუ არა ქართული ენის არცოდნა რაიმე პრობლემას და თუ კი,

კითხვა დაესვათ მხოლოდ არაქართველ რესპოდენტებს, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, 41 რესპოდენტი

კითხვა დაესვათ მხოლოდ არაქართველ რესპოდენტებს, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, 39 რესპოდენტი

ქვემო

სამცხე-




ორივე რეგიონში ფიქრობენ, რომ ქართული ენის არცოდნა მომავალში აუცილებლად შეუქმნით პრობლემებს. ძირითადად, ეშინიათ, რომ ამის გამო ვერ იმუშავენ ქართულ ორგანიზაციებში. ქვემო ქართლში რესპონდენტების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ (24) ასევე მიუთითა პრობლემებზე უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისას.

შეაფასეთ ქართული ენის თქვენი ცოდნა 4 ბალიანი შკალაზე, სადაც

კითხვა დაესვათ მხოლოდ არაქართველ რესპონდენტებს, 200

საშუალო შეფასება



ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით საკუთარ თავს მკვეთრად განსხვავებულ შეფასებას აძლევენ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გამოკითხული მოსწავლეები. ქვემო ქართლში ქართული ენის ცოდნა რესპონდენტებმა 4 ქულიან შკალაზე 2 ქულით შეაფასეს. გაცილებით მაღალია მოსწავლეების თვითშეფასება სამცხე-ჯავახეთში, რომელიც იმავე შკალაზე 2,6 ქულას შეადგენს. ქვემო ქართლში მეტია იმ მოსწავლეების რიცხვიც, რომლებსაც ამ კრიტერიუმით საკუთარი თავის შეფასება უჭირთ.




როგორც მოსალოდნელი იყო, ქვემო ქართლში ყველაზე გასაგებია აზერბაიჯანულ ენაზე დაწერილი ტექსტი, სამცხე-ჯავახეთში კი – სომხურ ენაზე შექმნილი, მაგრამ თუ ქვემო ქართლში აზერბაიჯანულზე მიუთითებს რესპონდენტების 97%, სამცხე-ჯავახეთში სომხურ ენაზე ყურადღებას ამახვილებს რესპონდენტების 72%, ხოლო დანარჩენი გამოკითხულებისთვის უფრო მარტივად აღსაქმელი რუსულ (19%) და ქართულ (9%) ენებზე შექმნილი ტექსტებია.

ქვემო ქართლში მოსწავლეები მეტად არიან მოტივირებულები ისწავლონ ქართული ენა. 100 გამოკითხულიდან ამის სურვილს 96 რესპონდენტი გამოთქვამს მაშინ, როდესაც რესპონდენტთა იმავე რაოდენობისთვის შესაბამისი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში 76-ს შეადგენს. ქართულის შესწავლის სურვილი ქვემო ქართლში იმაშიც გამოიხატება, რომ აქაური მოსწავლეები მზად არიან საამისოდ ყველა ხერხს მიმართონ – დაიქირაონ მასწავლებელი, იარონ ენის შემსწავლელ კურსებზე, სერიოზულად მიუდგნენ ქართულის სწავლას სკოლაში და ა.შ. ანუ საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული თანხაც გაიღონ ქართულის სასწავლად. სამცხე-ჯავახეთში საამისოდ ყველაზე მისაღებ გზად სკოლაში ქართულის გაკვეთილებზე მეტი მობილიზება სახელდება.


აპირებთ თუ არა ქართულის

ქვემო

სამცხე-



როგორ/რა გზით აპირებთ?




გრაფიკზე მოცემული რიცხვები აღნიშნავს პასუხების

საქართველო მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული, როგორც სამშობლო ქვემო ქართლში. ამ რეგიონში გამოკითხული მოსწავლეების 86% სამშობლოდ სწორედ საქართველოს მიიჩნევს. მხოლოდ მათი 11% თვლის, რომ მისი სამშობლო აზერბაიჯანია. ვითარება მნიშვნელოვნად განსხვავდება სამცხე-ჯავახეთში, სადაც ყოველი მესამე გამოკითხული სამშობლოდ სომხეთს ასახელებს. საქართველოს სამშობლოდ მიიჩნევს ამ რეგიონში გამოკითხულთა 62%. ამ რიცხვს უნდა დაემატოს რესპონდენტების ის 4%-იც, რომლებიც სამშობლოდ არა პირდაპირ საქართველოს, არამედ ჯავახეთს მოიხსენიებს.

ამის მიუხედავად, საკუთარ და საკუთარი ოჯახის მომავალს ქვემო ქართლში გამოკითხული რესპონდენტების დაახლოებით იგივე რაოდენობა უკავშირებს საქართველოს, რაც სამცხე-ჯავახეთში. ეს რიცხვი ორივე რეგიონში მცირედით აღემატება გამოკითხულთა ნახევარს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქვემო

ქართლში ყოველი მეოთხე გამოკითხული მოსწავლე მკაფიოდ უკავშირებს საკუთარ და ოჯახის მომავალს აზერბაიჯანს. სამცხე-ჯავახეთში რესპონდენტებს უფრო ნაკლებად წარმოუდგენიათ საკუთარი მომავალი ისტორიულ სამშობლოში.


რომელ ქვეყანას უკავშირებთ თქვენს და თქვენი ოჯახის მომავალს 5 წლის შემდეგ?



3.3 ბანათლების მიღების პერსპექტივები

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულების უმრავლესობა აპირებს სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში. მოსწავლეთა მოტივაცია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ორივე რეგიონში დაახლოებით თანაბრად მაღალია: ქვემო ქართლში 100 გამოკითხული მოსწავლიდან სწავლის გაგრძელების სურვილი აქვს 77-ს, ხოლო სამცხე-ჯავახეთში – 84 მოსწავლეს. რაც შეეხებათ იმ რესპონდენტებს, რომლებიც სწავლის გაგრძელებას არ აპირებენ, ქვემო ქართლში მათ უმრავლესობას ამის მიზეზის დასახელება უჭირს. სამცხე-ჯავახეთში მოსწავლეებმა, ზუსტად იციან, თუ რატომ არ გააგრძელებენ სწავლას.

რატომ არ აპირებთ სწავლის გაგრძელებას?




რეგიონებში გამოკოთხული მოსწავლეები დაახლოებით, თანაბრად ფიქრობენ სწავლის გაგრძელების პერსპექტივებზე როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლის გაგრძელებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ გეგმავენ (ძირითადად, სომხეთსა და აზერბაიჯანში), ყველაზე ხშირად ორ მიზეზზე მიუთითებენ: ქართული ენის არცოდნის გამო ეროვნულ გამოცდებს ვერ ჩააბარებენ და იქ, სადაც სწავლას გააგრძელებენ, ახლობლები ჰყავთ და მათი დახმარების იმედი აქვთ.

3.4 პრობლემები გამოკოთხულ რეგიონებში

გამოკოთხულებისთვის მთავარ პრობლემად უმუშევრობა რჩება. ეს პრობლემა ტიპურია როგორც თბილისში, ასევე ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, თუმცა ქვემო ქართლში სხვადასხვა პრობლემებზე მოსწავლეები უფრო აქტიურად მიუთითებენ, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში. მაგალითად, თუ იგივე უმუშევრობაზე ქვემო ქართლში გამოკოთხულების 70%-მა გაამახვილა ყურადღება, სამცხე-ჯავახეთში ეს მაჩვენებელი 35%-ს შეადგენს. ასევე, ორივე რეგიონისთვის პრობლემატურია გზების მოუწესრიგებლობა. ქვემო ქართლში განსაკუთრებულად აწუხებთ ახალგაზრდობასთან დაკავშირებული პრობლემებიც.

რა პრობლემები არსებობს თქვენს ქალაქში/სოფელში?



შენიშვნა: რესპოდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის გაცემის საშუალება. შესაბამისად, პასუხთა ჯამი აღემატება 100%-ს.

ქვემო ქართლში მოსწავლეები უფრო მიდრეკილები არიან ჩათვალონ, რომ პრობლემები, რომლებიც მათ რეგიონს აწუხებს, არ არის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და სურათი დაახლოებით, მსგავსია მთელ საქართველოში - ასე ფიქრობს ამ რეგიონში გამოკითხულების 91%. უფრო კრიტიკულები არიან სამცხე-ჯავახეთში, სადაც ყოველ მეხუთე გამოკითხულ მოსწავლეს ჰგონია, რომ მათ რეგიონში არსებული პრობლემები არატიპურია მთელი ქვეყნისთვის. ისინი სამცხე-ჯავახეთში არსებულ პრობლემებს უფრო მეტად განიხილავენ, როგორც მკაფიოდ მათი რეგიონისთვის დამახასიათებელს.

3.5 ინფორმაციის წყაროები

ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო ქვემო ქართლში აზერბაიჯანული არსებია. ამას ემატება ცენტრალური ტელევიზიიდან მიღებული ინფორმაცია (62%). რუსულ არხებს ინფორმაციის წყაროდ ასახელებს გამოკითხულების მხოლოდ 29%. განსხვავებული ვითარებაა სამცხე-ჯავახეთში, სადაც რუსული და სომხური არხები ინფორმაციის მიღების, დაახლოებით, თანაბრად მნიშვნელოვანი წყაროებია (რუსული არხები - 78%, სომხური არხები - 74%). ცენტრალური ტელევიზიიდან სასურველ ინფორმაციას სამცხე-ჯავახეთშიც დაახლოებით, რესპონდენტების იგივე რაოდენობა იღებს (69%), რაც ქვემო ქართლში.

შესაბამისად, ქვემო ქართლში ინფორმაციას, ძირითადად, აზერბაიჯანულ ენაზე იღებენ (96%), სამცხე-ჯავახეთში კი რუსულ და სომხურ ენებზე მიღებული ინფორმაციის ხვედრითი წილი თითქმის ერთმანეთის ტოლია. რესპონდენტებს ინფორმაციის მიღება იმავე ენებზე ურჩევნიათ, რომლებზეც ისინი მას რეალურად იღებენ კიდევ.



ძირითადად, რა ენაზე იღებთ ინფორმაციას?
რა ენაზე გირჩევნიათ ინფორმაციის მიღება?

ქვემო

სამცხე-

■ ძირითადად, რა ენაზე იღებთ ინფორმაციას
■ რა ენაზე გირჩევნიათ ინფორმაციის მიღება?


■ ძირითადად, რა ენაზე იღებთ ინფორმაციას
■ რა ენაზე გირჩევნიათ ინფორმაციის მიღება?



გამოკითხული მოსწავლეები ყველაზე ხშირად გასართობ და მუსიკალურ გადაცემებს უყურებენ. ქვემო ქართლში მათი 25% ასევე ხშირად უყურებს მხატვრულ ფილმებს. რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებულ გადაცემებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ისინი მეტი პოპულარობით სარგებლობს სამცხე-ჯავახეთში. ამ რეგიონში გამოკითხული მოსწავლეების 71% სისტემატურად ან პერიოდულად უყურებს ამ გადაცემებს. მათ საერთოდ არ უყურებს მხოლოდ მოსწავლეების 29%. დიამეტრალურად განსხვავებული სურათია ქვემო ქართლში, სადაც გამოკითხულების 92% საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მათ მშობლიურ ენაზე მომზადებულ გადაცემებს არ უყურებს.

კვლევის მონაცემების თანახმად, გამოკითხულები საკმაოდ აქტიურად ეცნობიან პრესას. გაზეთებს არ კითხულობს მოსწავლეთა 65.3%. განსაკუთრებით მაღალია პრესის მკითხველების რიცხვი სამცხე-ჯავახეთში, სადაც 100 გამოკითხულიდან გაზეთებს მხოლოდ 56 არ კითხულობს. ქვემო ქართლში ასეთი იმავე ოდენობის გამოკითხულებიდან 79 მოსწავლე აღმოჩნდა. სამცხე-ჯავახეთში ყველაზე პოპულარულია გაზეთი „ვრასტანი“, რომელსაც ყოველი მეხუთე გამოკითხული ეცნობა, ქვემო ქართლში კი რესპონდენტების 18% „თუმორჯუ“ კითხულობს. გაზეთის კითხვის ძირითადი მოტივატორი ის არის, რომ ისინი რესპონდენტებისთვის ხელმისაწვდომ ენებზე იბეჭდება.

ძირითადად რომელ გაზეთებს კითხულობენ?



რესპონდენტებს შესთავაზეს პასუხების ჩამონათვალი, ამავე დროს ჰქონდათ ღია პასუხის შესაძლებლობა

შენიშვნა: რესპონდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის გაცემის საშუალება, შესაბამისად, პასუხთა ჯამი აღემატება 100%-ს. “სხვა”-ში გაერთიანებულია ის პასუხები, რომელთა პროცენტული მაჩვენებლები არ აღემატება 1%-ს.

3.6 უმცირესობების უფლებები

რესპონდენტებს დაესვათ კითხვა, იცნობენ თუ არა ისინი საქართველოს კანონმდებლობას უმცირესობების უფლებების დაცვის შესახებ. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში პასუხები მნიშვნელოვნად განსხვავებული აღმოჩნდა. ქვემო ქართლში მოსწავლეების 55%-მა პირდაპირ აღიარა, რომ ამ კანონმდებლობას არ იცნობს, 37%-მა კი პასუხს უბრალოდ თავი აარიდა და თქვა, რომ აზრის გამოთქმა უჭირს. მხოლოდ მათმა 8%-მა ჩათვალა, რომ უმცირესობების უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობას იცნობს, მაგრამ არცთუ ისე კარგად.

სამცხე-ჯავახეთში რესპონდენტების ნახევარზე ნაკლები ამბობს, რომ უმცირესობების დაცვის შესახებ კანონმდებლობას არ იცნობს ან ამ თემაზე აზრის გამოთქმა უჭირს. ამ რეგიონში გამოკითხული მოსწავლეების 9% თვლის, რომ აღნიშნულ კანონმდებლობას კარგად იცნობს, 44% კი მიუთითებს, რომ ამ კანონმდებლობაში ერკვევა, მაგრამ არცთუ ისე კარგად.

იმის მიზეზად, რომ კარგად არ იცნობენ კანონმდებლობას უმცირესობების უფლებების დაცვის შესახებ, რესპონდენტები ძირითადად ასახელებენ, ერთი მხრივ, დაუინტერესებლობას, მეორე მხრივ კი იმას, რომ აღნიშნული მასალები არ არის ხელმისაწვდომი.



რატომ არ იცნობთ

რესპოდენტები, რომლებიც არ იცნობენ საქართველოს კანონმდებლობას უმცირესობების უფლებების დაცვის შესახებ, 100 რესპოდენტი

რესპოდენტები, რომლებიც არ იცნობენ საქართველოს კანონმდებლობას უმცირესობების უფლებების დაცვის შესახებ, 91 რესპოდენტი

ქვემო

სამცხე-



გამოკითხულები ამბობენ, რომ უმცირესობების უფლებები აუცილებლად უნდა იყოს დაცული, თუმცა ამ აზრს უფრო მკაფიოდ სამცხე-ჯავახეთში გამოკითხული მოსწავლეები გამოხატავენ (94%). რაც შეეხება ქვემო ქართლს, რესპონდენტების მნიშვნელოვან რაოდენობას – 48% ამ თემაზე აზრის გამოხატვა გაუჭირდა. სამცხე-ჯავახეთში ასევე გამოკითხულების დიდი ნაწილი – 63.4% დარწმუნებულია, რომ უმცირესობების უფლებების განსაკუთრებულად დაცვა არ არის საჭირო, მათ ისეთივე უფლებები და მოვალეობები უნდა ჰქონდეთ, როგორც ეთნიკურ უმრავლესობას.


ქვემო ქართლში მოსწავლეების აზრები იყოფა. დაახლოებით, ყოველ მესამეს მათგან აზრის გამოთქმა უჭირს. მათი 31.1% ფიქრობს, რომ უმცირესობების უფლებების განსაკუთრებული დაცვა აუცილებელია პოლიტიკური ავტონომიის შენარჩუნების მიზნით, 17.5%-ის აზრით, აუცილებელია არსებობდეს სპეციალური კანონი უმცირესობებზე, ყოველ მეხუთეს კი მიაჩნია, რომ მათი უფლებები და მოვალეობები არ უნდა განსხვავდებოდეს ეთნიკური უმრავლესობის უფლებებისა და მოვალეობებისაგან.

რესპონდენტების აზრით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უმცირესობების უფლებები, ძირითადად, დაცულია. ამ აზრის არის სამცხე-ჯავახეთში გამოკითხული რესპონდენტების 70% და ქვემო ქართლში გამოკითხული რესპონდენტების 39%. ქვემო ქართლში მოსწავლეთა მნიშვნელოვან რაოდენობას – 61%-ს აზრის გამოთქმა უჭირს.


საჭიროა თუ არა უმცირესობები სარგებლობდნენ განსაკუთრებული

- არა, მათ ისეთივე უფლებები და ვალდებულებები უნდა გააჩნდეთ, როგორც მოსახლეობის უმრავლესობას.
- კი, უმცირესობებზე სპეციალური კანონით
- კი, კულტურის შენარჩუნების მიზნით
- კი, პოლიტიკური ავტონომიის შენარჩუნების მიზნით
- მიჭირს პასუხის გაცემა

ქვემო



სამცხე-



შენიშვნა: რესპონდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის გაცემის საშუალება. შესაბამისად, პასუხთა ჯამი აღემატება 100%-ს.

3.7 უმცირესობების უფლებების დარღვევის შემთხვევები

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში რესპონდენტებს დაესვათ კითხვა, დარღვეულა თუ არა მათი, როგორც ეთნიკური უმცირესობების უფლებები. ორივე რეგიონში რესპონდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ეს უარყო, მაგრამ ქვემო ქართლში ყოველმა მეხუთე გამოკითხულმა უარი თქვა პასუხი გაეცა დასმულ შეკითხვაზე. ირიბ შეკითხვას, ხომ არ სმენიათ რესპონდენტებს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევის შესახებ, ქვემო ქართლში მოსწავლეთა 78%-მა უარყოფითი პასუხი გასცა, 22%-ს კი აზრის გამოთქმა გაუჭირდა. ასეთი ფაქტების არსებობა დაადასტურა გამოკითხულების 11%-მა სამცხე-ჯავახეთში.

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევის შესახებ მთლიანობაში (როგორც ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ასევე თბილისში) სმენია 30 რესპონდენტს. მათ უფლებების დარღვევის სხვადასხვა შემთხვევები დაასახელეს, თუმცა ყველაზე დიდი სიხშირით (6) პიროვნების სიტყვიერ შეურაცხყოფაზე მიუთითეს.

რა სახის დარღვევას ჰქონდა

კითხვა დაესვათ იმ რესპოდენტებს, რომლებსაც სმენიათ ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევის შესახებ, 30 რესპოდენტი

ერთიანი მონაცემი



გრაფიკზე მოცემული რიცხვები აღნიშნავს პასუხების

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევა, როგორც წესი, ერთეულ შემთხვევებად და არა საყოველთაო ტენდენციად განიხილება. აღნიშნული უფლებების დარღვევაში, ძირითადად, ცალკეულ ადამიანებს ადანაშაულებენ და ეს სახელმძღვანელო პოლიტიკის შედეგად არ მიაჩნიათ. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევაში დამნაშავედ ჩინოვნიკებს და არა პრეზიდენტს თვლიან.